



ლახტი



№ 15 კვირა, 15 ივნისი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифლისь. Мухранская 12, для журнала „ЛАХТИ“. | ფასი 5 კაპ. № 15


ქართულ სცენის მოღვაწეთა პირველი ურილობის გამო




ილია ჭავჭავაძე.




აკაკი შერეთელი.




გიორგი ერისთავი.



ბ. ჯორჯაძე.



ალ. ორბელიანი.



დ. ერისთავი.



ვ. ცაგარელი.

მოკლე საუბარი ძაბთულ თეატრის შესახებ

ქართულ თეატრის დაარსების შესახებ სამ გვარი აზრი ტრიალებს: ქართულ ისტორიას არ აქვს აღნიშნული, მაგრამ ზეპირ გადმოცემით ჩვენი მეფეების თამარის და ერეკლეს დროს ქართველები გამოდიოდნენ მსახიობების როლებში, შესაძლებელია ის უფრო გამოსაცადი, სამხარე გამოხატულობა იყო, მსახიობები მაშინდელ ბრძოლის ველზედ მდგომ გმირებს წარმოადგენდნენ; მართალია მას მასიური სახეხასიათი არ ჰქონდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასში არ მომხდარიყოს ჩასახვა თეატრის შემადგენლობისა.

ესეც მართალია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ განვლო რამდენიმე წელი და თეატრზედ არაფერი ისმოდა, მხოლოდ 1850 წ. 2 იანვარს გ. ერისთავის გამგეობით იმართება წარმოდგენა. ეს პირველი გამოსვლა, პირველი რეპერტუცია გასაქირი დარჩა, მას ათასი დამაბრკოლებელი მიზეზები აღმოუჩნდა, მაგრამ რა კი სურვილი გაჩნდა, რა კი მასაში მოთხოვნილება დაიბადა ის სისრულეში უნდა მოეყვანათ. ეს ადვილი მოსახერხებელი დარჩა, რადგანაც მას მხარს უჭერდა თ-დი ვორონცოვი. აქ ორი შეხედულება დატრიალდა: ერთი—პირველობას გ. ერისთავს აკუთვნებს; მეორენი—ვორონცოვის ინიციატივით, მისი ზედგავლენით ჩაეყარა საძირკველი ქართულს თეატრს 2 იანვარს 1850 წ. ასეა თუ ისე ეს აქტი 2 იანვარს მოხდა, ამის უარპყოფა შეუძლებელია. ნ. ავალი-შვილი 1890 წ. მიგვითითებს ვორონცოვზე, მას ვორონცოვი, თეატრის შემქმნელად გამოჰყავს, გ. ერისთავი, როგორც მასთან მოხელე, მისი სურვილების აღმასრულებლად. დღესაც, დღევანდელ ყრილობასაც თავსატეხ კითხვად გაუჩნდა ეს, მისი ნამდვილი სახე, მისი გამოკვლევა მომავალს ჩააბარეს, ჩვენც მოუცადოთ მკვლევართ.

ყვეოასათვის ცხადზე-უცხადესია, რომ ჩვენი მუშაკთა ბანაკი ორ ნაწილად გაიყო. ერთი ძმა მუშა—ქალაქში, მეორე ძმა გლეხი—სოფელში. პირველი თავის ძალღონეს ბაზარზე ჰყიდის და მით პოულობს პურს არსებობისათვის. მეორეს—კი მცირე საკუთრება შერჩენია სოფლად და იარაღით ხელში მას ჩაჰკირკიტებს. პირველისათვის ქალაქს თავისი დალი დაუსვამს, ის გაქალაქებულა; მას ქართული ადათი, ზნე-ჩვეულება დაუკარგავს, ის უფრო ევროპიულ კულტურისაკენ მიილტვის, ის ფერადოვანია, მისი სულის კვეთება ვერ არის მძლავრი სამშობლოს სიყვარულისადმი, ის დამსხვრეულია და სხვა და სხვა მასალებიდან შემზადებული.

რაც შეეხება მეორე ძმას გლეხს სოფლად, არ გვეგონათ, რომ ის წარსულში გაყინულაყოს, მას წარსული უფრო ნათლად-უტყუარად აქვს შესწავლულ-განვლილი და აწმყოსაც უფრო მძლავრ შენობას უშენებს თავის სამშობლოს საკეთილდღეოდ. მაშასადამე ნურავინ ნუ დაივიწყებს მას, რომ, როდესაც ჩვენს წარმომადგენლებს ექნება მსჯელობა ქართულ რეპერტუარის შესახებ ამ ორ ძმას ანგარიში გაუწიოს—რეპერტუარი ქალაქში და რეპერტუარი სოფლად—პროვინციაში.

მუმლი.

ვედრება

ნანა მიმდერე დედილო, ყურს ჩამჩურჩულე ქართული, რომ შემოყვარდეს პატარას, სამშობლო, ჩემი მამული. გულს ჩამინერგე სიმართლე, რომ წინ მიძლოდეს ლამპრათა, დაჩაგრულ მოძმეთ ვშველოდვიყო მოსარჩლე მრავალთა. უმანკო გულში ჩასთესე მშობლური გრძნობა დიადი; ციური სული შთაბერე, რომ გამინათდეს წყვილიადი. ნუ დამჩლოუნგებ გონებას, ნუ მიმდერ უცხო ხმაზედა,

ნუ შესცვლი, დედა გენაცვა, სამშობლო ენას სხვაზედა.

შენი ვალია დედილო: შვილი აღზარდო ვპირადა, რომ შეეწიროს სამშობლოს გაედოს გზა და ხიდადა. აი ეს არის დედილო შვილის თხოვნა და მუდარა, ან შეასრულე ყველა ეს, ან გადამხურე სუდარა.

პ. დვანელი.

ახალგაზრდა დანალი

„პოეტი“ რ. ლეჩხუმიანი.

გველი იცვლის კანს, ბუნება — შეხედულობას, კაცი — რწმენას, ქალი — საყვარელს, მაგრამ ყველა ბოლოს ისევე იმათ რჩება რაც იყო.

ა. ჯორჯაძე.

რ. ლეჩხუმელა, პ. გუგუიშვილის გამოკვეთით, დაიბადა 1,200 წელს ქრისტეს დაბადებამდე ს. ჟახმას (ლეჩხუმის მაზრაში). მამა მისი ლუარსაბი დაბაბა აზნაურაშვილი იყო და ეს შესამე ვაჟიშვილას შექმნა სწვენიად დაურჩა. მაგრამ როცა ბავშვი წამოაზარდა, აზრი შეაცვალა და სისარულით ამობდა: „მე სულელმა, ღმერთს უბრალოდ შევეცადე, ეს ბღარა ეველა შეიდეგს აჯობებს, აბა შეხედეთ, როგორი ბრტყელი შუბლი აქვს? მთლათ ცხნებულ ბაბუამასს ჰგავს, ნამდვილი ფაფოსო-ფოსი იქნებაო“. — ჭიო! ამას ენაცვალის დედა, ნეტა ასეთი ლამაზი, ფუნთრუშა და მალხაზი შვალა სხვას ეყოლება? წარმოსთქვა გრძნობა მარტულმა დედამ. „ეს უბჭველად იასონს უნდა მოგანათვლინოდ, დიდი შემამულე თავადია და ჩვენ გამაგვადგება. მე თუ მოურაობა მომცა, მამინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჭყეფს“, — დაუმატა ლუარსაბმა.

მართლაც თავისი აზრი კიდევ განახორციელეს. როცა რუბეკას (ასე ეძახდნენ ბავშვობისას) შეესრულდა 7 წელი მონათლეს და ნათლიად იასონი ჰყვდათ. ამას შემდეგ არ გასულა სამი თვე, რომ ნათლიამ ლუარსაბს მოურაობა უბოძა. გენდუბისა და შოშნის მამული მას ჩააბარა და რუბეკა კი ლაილასის სკოლაში მიიბარა. რუბეკას დიდი ნიჭი ღმრავანდა: მშვენივრათ შეისწავლა: ტუბიზში, ზადურიზში, ელაზიზში, ცინკიზში და სხვა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთს წელს დარჩა სახლში დასასვენებლად, სადაც სწავლობდა გლეხებსე ნადირობას. მერმე კი უბოძეს ჭევიძის საზოგადოებაში სოფლის მწერლობა. მშვენიერად წააუყვანა საქმე მთელი გლეხკაცობა მის წინა ჰქრთოდა. როგორც ის ბრძანებდა, ისე მიდიოდა საქმე. მამასახლისიც ის იყო, მსაჯულიც და მწერალიც, უამისოდ არავის არ შეეძლო ფეხის გადადგმა. ვინც ერთს დოქის ღვინოს, შეშვარს ქათამს და ცოტადეი ქანქარს მიართმევდა მისი საქმე განარსული იყო. ხმის შებრუნებას ვერავინ უბედავდა, გარდა ერთი ურჩის იასაულის, უთელის ფრუიძისა, რის გამო უკაცრავად მასუხია, უკანა ხელი მანდურის ცემით სულ დაუშაბდა.

ნამდვილი ბატონ-პატრონი შეიქმნა სოფლისა მამალი ინდოურივით იბერებოდა. მეცნიერად მოგჭიბდა თავი თუმიცა „ინხიც“ არ იცოდა თეფხისკეთისა. ან კი რაში გამაღებოდა? სამსახურში დაწინაურებისთვის საჭირო იყო მხლელად ერთგულობა, მუჟათობა, გლეხების დაბრეყება, გაუგებოდა და უფროსების პატივის ცემა. ამ მხრივ კი იგი არავის ჩამოუვარდებოდა, სწავლ უფლისას თეთრ ცხენს კვარცხის ოღებს ჯირუყლები ჰქონდა ზურგზე გაჩილი ბეგრი ღვინის ზიდვით ცეკრში და ღაღაღასში უფროსებთან. სწე რომ დარწმუნებული ვარ ქაშაღის ბიურგარტიულ საფეხურზე შეფერთხებოდა, რომ რაღაც ეშმაკად ერთობას არ მოესწრა. უბედურმა რუბეკამ მადლიდან მიწასზე მოადინა ბრავგანი და ნიაღვრამ კანადაში წააქვს, რომ ერთს აღმიახს არ დაეხსნა. ამის შემდეგ დამთხზაღმა, რომ სახელად დაემსახურებინა გახდა დასული. შეიძინა განების ლექსიკონი მანარაძისა. უოგულ წამს უღანდება ფედერალისტები და კანინი დამწვის სოფელ-სოფელ და გჭკივის სიბრუნის ტიპკორიდან ლექსიკონის სიტყვებს.

ასეთი მოღვაწეობისათვის დასულთა ბანკმა გადასწვიტა გადაუსადოს იუბილეო წითელ მარასკეგს მრავალ ტანჯულ მ. გუფიშვილთან ერთად. ჭევიძის საზოგადოება ჰგზავნის წარმომადგენლად ლეკო შეილს, რომელად მიართმევს ოქროთი მოჭედელს მათარხს, როგორც ძველად მის საუვარულს ნივთს ცეკრულების მატიონად სიტყვას წარმოსთქვამს ლ. დაღუშვილიანი.

მოლა.

ჩქარა, ჩქარა დღის მნათობი...

(კუთხიანიდან)

ჩქარა, ჩქარა დღის მნათობი, ზღვას დაეცა ნისლის ბელტი, ჩემო აფრავ, ახმაურდი! ზღვავ ზირ ქუში, შენც აღელდი!

შორით ვუჭკურეტ გრძნულ მხარეს, სამხრეთ მ.წის კიდე-ნახიბს, ლურჯ ზღვის მსხვერულ ტალღათაგან ცრემლ დაფრქვეულს და დანაიქით ილტვის ჩემი გული, ილტვის შეფთვით, ადეფებით, ტრისი იქით, იქით მივისწრათუვი მთვარალი მე ტუბილ მოკონებით— და გგრძნობ ცრემლთა ნაკადული ტბათ მოაწვა კვლავ ჩემ თვალებს, ოცნებათა ტბა-ნაცნობა კვლავაც თავზე დამტრიალებს!—

სული თან სდულს, თან რინდღებს! მაკონდება მე წარსული: მაკონდება განუღილ ჟამთა მე უაზრო სიუვარული! ის, რითაც მე ვატიანჯოდდი, ის—წარსული შეგობრობა, ღტოლვითა და იმედების მოსაწევი მატურობა!

მაკონდება ვინც მიუვარდა, ვისთვის მას ჟამს მე გახვლადი... ჩემო აფრავ, ახმაურდი! ზღვავ ზირ-ქუში, შენც აღელდი!—

ნაფო, ნაფო! ჰე, გაფრინდი: ვინისამებრ ცთომილ ზღვათა მიმაცდილე მე იმ საზღვრებს, — დაბურტუე მუხით კაღთა. გაუსწორდი მას ზირდაზირ მას—შორულს მხიბლავ მხარეს, — ხოლო არა ჩემს სამშობლად, ნაღვლით სავსეს და მწუხარეს:—

სად აღიგზნენ ვნების აღით ეს გრძნობანი სულ ზირველათ, სად მე მუხა იღუმადი მიდიმოდა ჩემდა მწველათ, სად დამიჭნო ადრე სიურმე ცნაფრების მკაცრ მელაფარებაში:

ფრთა სუმბუქმა სინარულია მიმუხთლა, და მძლია ვნებაში! მე ვუძიებ ახალ გრძნობათ! ჰე, სამშობლად, თხემნო მთისა! გაგაქმდით! გაგაქმდით თქვენც, ასულნო განცნობისა!

თქვენ—წუთიერ სიურმის მხლელად წუთიერსო შეგობარნო, ნაწიხი სიურმის სიცოცხლისა მომშხამელნო, მით ნეტარნო! თქვენც—ბიწიერ ცთომილებების ბრმა ასულნო გულითაღნო —

რომელთა წი მიგობრობა, ვეჭვობ, კვლავც დავიქადნო! — რომელთა დღემდის მე გამსხვერვებულ გულით, სულით, მთელ არსებით, ახალგაზრდა მატურარნო, აღსავსენო ცბიერებით ..

ჩემი ნაწიხი გაზაფხულის იღუმადნო შეგობრებო, — თქვენ ვუღახი დაგიავწუეთ, — დაგიავწუეთ, სიყვარულთა!.. მაგრამ მწარე ჭრალობანი—ჭმუნვა, ურვა სწულ გულის,

ჭრდილობანი თქვენგნით ძღვინიანი, — გაქარწულებულ სიყვარულის, დღესაც ჟურ არ მოჩენილან, — არ შეცვდილან ჟურაც დღემდო... ჩემო აფრავ, ახმაურდი! ზღვავ ზირ-ქუში, შენც აღელდი!

სევერი. მუსხერიძე.

ს უ რ ა თ ი

ცის გუმიბოზე გამსოცურდა მოგვრცხილი ბადრი მთვარე და ველს მკურდზედ გადაეჭდო სხივთა ჭვალა მანარანარე.

მიწამ თავის ტურფა მიჯნურს უხვად მკერდა კადუმად, რა რომ ჰმრავა მის სხივებში ხეთაებრავი ცეცხლის ძალა... ტრფობით დაოვარა ზირშია მოკარკ, იგრძნო უცხო ნეტარება!

თავის სატრფოს გასართობლად მიიწვია ვარსკვლავთ კრება, მაგრამ ზეცა მოიღუმა, დაიჭეჭა მრისხანებით და გაისმა კვლავ ხარხარი ბორბოტ-სულთა კბილთა დრჭენით...

ამოდრავდა დრუბულთ რაზმი შუქ-მფენ მთვარეს დაუვარა, ჩვენს ქვეყნას მრავალ-ტანჯულს შავი ჩისლი დაყარა; აქვითინდა ცის ლაყვარდი სისხლის ცრემლი გადამოღვარა და წუთიერ სინარულზე ბორბოტ სულმა გაიხარა!..

პ. ქარქაშიძე.

სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეების რეჟისორები



კ. კალანდაძე.



კ. შათირიშვილი.



ი. ივანიძე.



ნ. გვარადე.



სგ. სვიმონიძე.



ბ. პევანოვი.




ა. ვუშნავა.

ქართველი დამსახურებულნი მსახიობნი



გ. აბაშიძე.



გლ. მესხიშვილი.




ეფ. მესხი.



ელ. ჩერქეზიშვილი.



გ. გვინია.



კ. კვიციანი.

ქუთაისი

(ნოქართა ახალ მოღვმისა)

ნოქართა ახალ მოღვმისა,
შეკრბა ქუთაისს ლაშქარი,
გამართეს კრება გზობისა,
გაშალეს გულის დავთარი.

თავმჯდომარეობს კვახაძე,
მდივნის ალაგას შელია,
მუნ ისმი სიტყვა „პროტესტი“
ნერვების ასაშლელია.

ჰკა! მაგას ამხანაგებო?!..
ძირს დავსცეთ ვედოშვილია,
ხომ ხედავთ გამოიცვალა,
მან საყმაწვილო კბილია.

ის ქართველებსა მიემხრო,
უარჰყო ჩვენი წილია,
სჯობს გავაბრუნოთ აქედან
ის ჩვენგან განაწბილია.

—მართალი არის, მართალი!..

კრება ტაშს უკრავს ღრიალებს:

—ვინც ჩვენსავითა აღამსა
ხელში არ დაატრიალებს;

იცოდეს ჩვენი რისხვითა
ღმერთი მას გაატრიალებს
არ მივსცემთ მოსვენებასა
ვასმევთ სიმწრისა ფიალებს.

გადაწყდა... ეშაპოტზედა —
თვისი რეზიუმე მოხაზეს,
მედგარი რეზოლიუცია
გადასცეს ვარლამ რუხაძეს.

პირდაპირ ვიტყვი, თუნდაც, რომ
პირში ამომდვან ლაგამი,
მეგონა განკარგულებას
არ მიიღებდა ვარლამი;

მას რომ უჭირდა მიიღო
იროდიონის სალაში,
უპურმადილო ყოფილა
მისი ცალ მხრივი კალამი.

ონკანი

ქალი

(დღიური)

25 აგვისტო.

დღეს გავიცანი მარო!

მხოლოდ დღეს მქონდა შემთხვევა
ჩამომერთმია ხელი იმ მაროსთვის,
რომლის სინარჩარემ დიდიხანა აან-
თო ჩემს გულში პირველი ნაპერწკალი
სიყვარულისა და ამ ქვეყნის დამ-
თურგვნილი კვლავ ქვეყნიერების
კალთაში გამხვია.

ოჰ, რა ტბილი იყო ჩემთვის მა-
როსთან ბასი!..

ვგრძნობდი აშკარად, რომ ჩემი
გულის სიმები მის გულის სიმებს
უერთდებოდა და ჩემს გულიდან მის
გულში სიყვარულის ბადეს ჰქსოვს.

რაც უფრო მეტს ვებასებოდი,
მით უმეტეს ვგრძნობდი, რომ მის
გულშიც იზრდებოდა ნაპერწკალი
სამარადისო სპეტაკი სიყვარულისა.
ვრწმუნდებოდი, რომ მასაც ვუყვა-
რკარ სპეტაკი სიყვარულით.

გესმით—სპეტაკი სიყვარულით...
29 აგვისტო.

მომიხდა გავლა იმ ქუჩაზე, სადაც
მარო სცხოვრობდა. შორიდან მოვ-
კარი თვალი თუ არა მის სახლს,
რომელშიც ჩემი ღვთაება იყო, კან-
კალმა ამიტანა. ფეხს აუჩქარე და
შსურდა, ისე გამეფლო, რომ მის ფა-
ნჯარაში არ შემეხედა.

მაგრამ უცბათ მომესმა ჩემი სა-
ხელი.

მოვიხედე და ჩემს გვერდით მარო
იდგა.

დავუწყე ბასი. მასთან საუბარმა
ისე გაადვილა ჩემს გულში სიყვარუ-
ლის ნაპერწკალი, რომ მე მზათ ვი-
ყავი ქუჩაშივე დავკონებოდი მის
ბაგეს... მაგრამ ჩავფიქრდი... მე ამ
გვარი ქცევით ხომ შევბლაღავდი
ტაძარს წმიდა სიყვარულისას?

ეს ხომ შეურაცყობა იქნებოდა
ჩემი რწმენისა?

მე თავი შევიკავე და ჩემი გრძნო-
ბა გულში ჩავიკალ.

3 სექტემბერი.

მე და მარო ბალის ერთ მიყრუე-
ბულ კუთხეში ვისხედით.

ერთმანეთს მტკიცედ ვეფიცებო-
დით სპეტაკ სიყვარულს.

მაგრამ უცბად მომეკრა მარო გუ-
ლზე და ჩემი აღელვებული ხმით
ჩამჩქორჩულა ყურში:

— მე შენ მიყვარხარ და მინდა
დავსტკბე. . . .

მარო მეკვროდა ათრთოლებული
და დაკმაყოფილებას მთხოვდა და მე
კი გაშტერებული მკაცრ გამომეტ-
ყველებას ვღებულობდი.

რა მომდიოდა?

. . . გავიგე, რომ ჩვენი სპეტა-
კი სიყვარულის ტაძარი უკვე შებ-
ლალულიყო... .

ჩემს წინ ქალი იდგა... ქალი რო-
მელსაც ყველაფერი წუთიერ განს-
ცდათ ექცია.

ბარბაცით მაროს ხელი ვკარ,
განზე გავსწიე და თავი მივანებე...
7 სექტემბერი.

მას შემდეგ განრისხებული ვარ,
მეზიზღება ქალი, ქალი რომელიც
წუთიერ გატაცებას სიყვარულს
ეძახის... .

ყველაფერი შემძულდა და ყვე-
ლაზე უფრო კი ბალის მიბნელებუ-
ლი კუთხე.

გადაწყვეტილი მაქვს, რომ შემ-
დეგში არასოდეს იქ აღარ შევიდე.
დღეს ჩემს სახელზე მაროსგან წერი-
ლი იყო, მაგრამ ის არც კი წამი-
კთხავს. დავაბრუნე უკან.

მარო ხომ ჩვეულებრივი ქალია
და ჩვეულებრივი ქალი, რასაც მო-
მწერს მე უწერილობაც ვიცი. . .

მიზა ვეშაპიძე.

ნუ, ნუ მიხეარ

ნუ, ნუ მიცქერ გრძნობის თვალით,
ნურც მთხოვ შენთან სიარულსა!
რადგან შენი მაგგვარ ქცევით
დამიმატებ წყლულზე-წყლულსა.

ეგ ცბიერი კბილთა ღრქენა
ვერ აღმიძრავს სიხარულსა,
იგი უმაღ გამახსენებს
თვით ჩემს სატრფოს დაკარგულსა.

მე ის მიყვარს მასვე ვეტრფი,
მიცხოველებს კვლავაც სულსა
ვინც მომავლის იმედებით
გაახარებს ტანჯულ გულსა.

—მომტაცეს და მომაშორეს,
ჩასვეს ის ტყვეთ ცხრაკლიტურსა,
მაგრამ მაინც ვინ აღმოფხვრის
ჩემგან მისსა სიყვარულსა?! . . .

ნუ, ნუ მეტრფი გრძნობის თვალით,
ნუ მალონებ მე ბედ კრულსა!
რადგან მაგით მომაგონებ
სატრფოს ჩემგნით დაკარგულსა.

ნ. გურჯანელი.

გაბრუნება

(სურათი სოფლის ცხოვრებიდან)

I

გაზაფხლის დღეა.

ბრწყინვალე მზე ფერადი სხივე-
ბით ამკობს დედამიწას.

აქა იქ გაისმის სანეტარო შაშვის
ქახქახი. იქვე ახლოს ბუღბუღლი
სტვენს, მას ხმას უერთებს მწყემსი
თავის სალამურით.

ყველა ნეტარებით არიან აღესი-
ლი. მხოლოდ ამ საერთო ნეტარე-
ბაში წილი არ უდევს იქვე ბუჩქის
ძირას მგდომ ნიკოს. ის დაყრდნო-
მილი თოფის კონდახზე მწარე ფი-
ქრებს მისცემია. მას არ ახარებს
აწმყო. და წარსულის მოგონება,
უფრო მეტად სტანჯავს.

უცებ შეინძრა, თითქოს რაღა-
ცას ელისო. გადაავლო თვალი ამ-
წვანებულ ტყეს და წარმოსთქვა:

— ღმერთო ჩემო! როდემდის
უნდა ვიტანჯო ასე?.. ნუ თუ არ
კმარა რვა წლის ტყეთ სიარული!..
ყოველივე შევსწირე, დედაც... მა-
მაც... დაც... ძმებიც... სახლკარიც...
ჩემთვის აღარ არსებობს-რა. დამ-
რჩენია მხოლოდ ერთი, რომელიც
მიჭერს ამ ცოდვილ მიწაზე.

ყველა ჩამომშორდა. ყველამ თბი-
ლი ალაგი მოსძებნა. ყველა ცხოვ-
რების ფერხულში ჩაება. ყველა
ყველაფერს შეეწვია, მე კი დევნილი
არავის არ ვახსოვარ, არა... არა..

ვახსოვარ მარტო ჩემს ვარდოს...
ამას წინეთ ვნახე ჩემი ღვთაება, ჩე-
მთვის ჯერ ჩაუქრობელი მზე... მაგ-
რა? რა?.. დამცალდა მასთან ხვევნა-
აღერსი? არა და არა...

II

სალამოს ჟამია.

დასავლეთისაკენ ცის გუმბათი
წითლად არის შეღებილი. ფრინვე-
ლები ჟრიაბულით ტოტიდან ტოტზე
ფრთხილობენ, თითქოს უკანასკნე-
ლად ესალმებიან დღესო.

გოგნებიც დატვირთული ურმით
პილიან სახლში. ყველა თავთავის
ბინას ეძებს. მხოლოდ ვარდო და
ნიკო, ერთი მეორეს ჩაჰკონებიან
და მდულარე ცრემლს აფრქვევენ.

— ნუ, ნუ ჩემო ნიკო, ნუ. შენ
ცუდ აზრზე დამდგარხარ. მოითმინე
ცოტა კიდევ და შენც... ჰქირსა ში-
გან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვი-
ტიკისა.“

— ეს ოცნებაა, ჩემო ღვთაება...
ჩემო უკანასკნელი იმედო... ჩემთ-
ვის ჯერ ჩაუქრობელი მზე... მე
უკანასკნელად მინდა შენს შუბლს
ვეამბორო... უკანასკნელად მინდა
შენს წინაშე მუხლი მოვიყარო და
შენდობა გთხოვო. ვგრძნობ ჩემო
ღვთაება, რომ ჩემთან ერთად შენც
იტანჯები. მე ვარ დამნაშავე მხო-
ლოდ მე. მე წავართვი შენ ბედნი-
ერება... მე პირველმა დაწვერე შენს
უმანკო გულის ფაცარზე სიყვარუ-
ლის ბარათი. მე პირველმა მოგპარე
კოცნა... კოცნა უმანკო. მე შევარ-
ყიე შენი სათუთი გრძნობა.. მე..
მე... მე ვარ დამნაშავე. ეხლა გვე-
დრები მუხლ მოდრეკით მომიტევე
ჩემი დანაშაულობა. თუ გწამს ის
პირველი ჩვენი გაცნობა... ჩვენი
პირველი ხვევნა-აღერსი. შენ ჯერ
ახალგაზდა ხარ და შეგიძლია კვლავ
ცხოვრებაში წილი მიიღო. მხოლოდ
გთხოვ, არ დაივიწყო შენი პირდაპირი
მოვალეობა. გათხოვდი... გახდები დე-
და და შენს პირმშოს აწოვე ძუძუსთან
ერთად სამშობლოს სიყვარული...

— არა ჩემო კარგო. — თვალ
კრემლიანად წარმოსთქვა ვარდომ. —
გავთხოვდე?! ნუ თუ ვერა სცნობ
შენს ვარდოს? ნო თუ შემიძლია მე
უშენოთ გაძლება? შენი განშორება
იმავე დროს ჩემს სიკვდილს ნიშნავს.
განა შემიძლია მე უშენოთ გაძლება?
როდესაც მე შენში ვცხოვრობ? გა-
ნა ის ცხოვრების ძაფი, რომელიც
მიჭერს ამ ცოდვილ მიწაზე შენ არ
მოგეცი? განა ჩემს გულში ბინა შენ
არ გაიჩინე? არა, მე შენ გამოგყე-
ვი—ჩვენი სახლ-კარი ტყე იქნება,
ტყე გამტანი, ტყე მშვენიერი, ტყე
უადამიანო.

— დაგვნებდით!!! გაისმა ხმა, მა-
გრამ ნიკოს და ვარდოს ეს არ ეს-
მოდათ. ისინი მომავლის წარმოდ-
გენას გაეტაცნა.

— დაგვნებდით! — მეორედ გაისმა
ხმა. ხმას თოფების გრიალი თან მო-
ჰყვა. ახმაურდა ტყე უადამიანო
და... სავანე შეყვარებულებისა...
სელოს-ძმა.

ჩკინის გზის მოსამსახურეთა ცხოვრებიდან

ახირებულ თავმოყვარეობას იჩენს
ქართველი, როდესაც ის უფროსის
ადგილს შოულობს, უცებ ავიწყ-
დება მას თავისი განვლილი გზა.

ამ დღეებში ასეთი არა სასიამო-
ვნო მოვლენას ჰქონდა ადგილი.
ჩკინის გზის მოძრაობის უფროსის
დროებით მოადგილესთან მივიდა
მატარებლის მოსამსახურე და რო-
გორც მეზობელს და ნაცნობს ხელი
ვაუწოდა ჩამოსართმევათ. უფროსმა
ეს იუკადრისა (აღბად სხვები უყუ-
რებდნენ და შერცხვა) და მეორე
დღესვე დაითხოვეს მოსამსახურე
მისი არა ტაქტიკური მოქმედების-
თვის და ბ. მაქ. შეურაცყოფისათვის.
ნუ თუ მართლა გამარჯვება შეურაც-
ყოფაა?.. მახლას?! მზვერავი.

მესტვირული

წვიმები აღარ ისვენებს,
აივსო მთა და ველია,
დაღონებულსა მაშვრალსა,
სულ საქმე შემომელია.
ყანები აღარ იხვენება,
მიწები სულ სობელია,
და ამისათვის საწყალმა
სტვირსა მოგვიდე ხელია.
მინდა ჩიბათლებს ვესტუმრო
თუ არ მომტეხეს წელია,
რადგანაც აქაურებმა
თმაში იციან ხელია.
პირველათ მიუღიღინებ
ჩიბათის მახარობელსა,
ხმელსა, შავსა და უკმესსა
ზნეობის სარაგველსა,
თავი რომ ხოჯას მიუგავს
ფეხები კუდა მეღასა.
სასამართლოში რო მიხვალ
ავიტენს შფოთს და ბელსა,
ჩიბათელების მზვერავი
მამასახლისი განთქმული,
ღმერთის წინაშე ჰქონია

მას კიდევ სიტყვა აღთქმული.
 სოფლებში დაიარება
 ღვინოზე თავდადებული,
 საღამოს სასამართლოზე.
 გაჩნდება თავ-არეული.
 დაიწყებს ლანძღვა-გინებას,
 ღვინითა გაშტერებული,
 სოფელი ნახა უძაღლოთ
 და დადის თავ-აშვებული.
 რათ არა სცხრება ვიცოდეთ,
 გაუმძღარი ბაქია,
 დრო არის მანაკ იგემოს
 ეს ჩვენი მწარე „ლახტია“.

წიკაშურტი.

სუსხიანი აგვები

როგორც გავიგეთ ჩვენი მსახიობთა ერთი ჯგუფი პროექტის შეტანას აპირებს ქართულ სცენის მოღვაწეთა კრებაზე, რომელშიაც ნათქვამი იქნება: მოწყობილ იქნეს ქართულ თეატრთან ერთად მუდმივ ღვინის სარდაფი და უსასყიდლოთ შეეძლოთ ქართველ მსახიობებს ნამდვილი კახური ღვინის სმა. იქვე უნდა გადიოდნენ რეპეტაციებს.

როგორც გვატყობინებენ ძალიან მოღლილ-მოქანცულა ტფ. ქალაქის მოურავი ალ. ხატისოვი ტფილისის ღარიბ-ღატაკთა და განაპირა უბნების მოვლა-პატრონობით. ამისათვის ის ორის თვით გამგზავრა საზღვარ-გარედ დასასვენებლად. ამასთანავე საზღვარ-გარედვე გაიღესავს ენას, რომელსაც აუარებელმა რეჩების თქმამ საშინლად დაუჩლუნგა. ამ ჟამად მის თანამდებობას ასრულებს მისივე ქვეშევრდომი და ერთგული მონა-მორჩილი ცნობილი „მამულიშვილი“ ჟორჟ ჟურული.

ხორცის ნიხრის გაუქმებამ ყასბებში დიდი სიხარული გამოიწვია. ამისათვის დეპუტაციას გზავნიან სოლოლაკელთა სალაყბოში მადლობის გამოსაცხადებლად ყასაბ დარჩოს მეთაურობით.

ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ, რომ ტფ. ქართველი სცენის-მოყვარეთა დიდი უმრავლესობა ღვინის სარდაფებში ახდენენ საერთო ყრი-

ლობას. ამბობენ მრავალ „რეჩებს“ და ღვინით სავსე ჭიქებით უსურვებენ ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობას, კეთილი ნაყოფის გამოღებას.

აი ასეთი „საპატიო“ მიზეზით აიხსნება, რომ იგინი ვერ ესწრებიან საერთო ყრილობას, რომელიც ყოველ დღე ხდება ქართულ თეატრში.

მოწერილი ამბები

დ. შვირილა. ვინაიდან ადგილობრივ ხაზინაში გასაყიდი ბანქო გამოლევიათ, ამისათვის დამფუძნებელი წევრები მეორე საბანქო კლუბისა: ილია, პლატონ, ძოსიმე და გიორგი „პოკორნიეში“ სთხოვს იმ პირებს, ვისაც ძველი ნათამაშევი ბანქო მოეპოვებათ საჩქაროთ გამოგზავნონ ფოსტით ფასდაღებით შემდეგის ადრესით: „ეგო ვისოკო კატროჟნიჩესტვო ილიე მალ-ძე, ზაღნაია კომნატა მაგაზინა“. მხოლოდ „ფოშტალიონს“ ვსთხოვთ რაიმე „კორესპონდენციის“ მოტანის დროს ხსენებულ „კომნატაში“ შემოვიდეს ნა „კრახავიცას“.

წვერების მონდობაჟობით ნიკო-ბერი და ამხ.

დეკემბერი

ქუთაისი. ბ-ნ გელიეშვილს შემდეგი შინაარსის დეკემბერი მიუღია: „როგორც ხმები დადის ქუთაისში, თქვენ კვლავ აპირებთ ამ მოკლე ხანში ლექციის წაკითხვას ილია ჭავჭავაძეზე. თქვე დალოცვილო, სული პირში ხომ არა გაქვთ?.. თუ აქამდე მოიცადეთ, ბარემ მადოს მარილიც მოაყარეთ და ცოტა ხანს კიდევ მოიცადეთ, ვიდრე ქუთაისიდან მოწაფეები გავიდოდნენ და ისე წაიკითხეთ თქვენი „ბრძნული“ ლექცია. მაშინ ჩვენც თავისუფლად დავფასებთ თქვენს ღვაწლს და ბოლოკის ნაცვლად სულ ყვივილებით მოგიფენთ სცენას“.

მიშა.

დ. აბაშა. სულ საათნახევარია, რაც აქაური კარტოჟნიკები გაიფიცნენ, რომ მათ კარტს აღარ მოჰკი-

დონ ხელი; ხოლო ამის მაგივრად დაეწაფნენ ნუნუსას, რის გამოც ორმა ყმაწვილმა მოიწამლა თავი. მადლობა ღმერთს, რომ ორთავე გადაჩინენ „მარუსიას“ წყალობით სიკვდილს!!

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, აქ ახლო მომავალში გაიმართება „ლექცია“. ლექტორათ მოწვეული იქნება დ. სამტრედიიდან იქაური სახელ-განთქმული პოეტი „ბ. სკამკოჩაიშვილი“. ლექციის შინაარსი ასეთი იქნება: „როგორ უნდა მოეწყოს აქაური ქალ-ვაჟთა არშიყობის საქმე“. იმედოვნებენ, რომ ბანი ლექტორი საუცხოვოდ დაუხატავს ხალხს მის მნიშვნელობას და უნაყოფოთაც არ ჩავივლის.

გუშინ-წინ, ღამის 10 საათზე, ვერიკამ ხელის მოპაჭუნებისათვის ერთ ყმაწვილს „სილა“ ამახსოვრა, ყმაწვილმა მადლობა გადაუხადა და განშორდა. თავისხარა.

ტყიბულა. წრევანდელი მაისის თვე საისტორიო თვეთ უნდა ჩაითვალოს ტყიბულელებისათვის. სწორედ ამ თვეში გვეწვია ქუთაისის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღვდელი ტ. ძიგრაშვილი. ნიშნათ ღრმა პატივისცემისა ბაზარში იმდენი ღვინო დაილია, რომ საღამოს თერთმეტ სამიკიტოში ერთი ბოთლი ღვინოც აღარ იშოვებოდა. ღმერთმა უშველოს იულო ჩხაიძეს, რომელმაც სადგურზე ბუფეტში ექვსიოდე ბოთლი ღვინო იშოვა, თორემ სწორედ სირცხვილს ვჭამდით პატივცემულ მეთვალყურის წინაშე და უპურმაროლად წავიდოდა. დაიძრა მატარებელი თუ არა ადგილობრივ მღვდელს, მასწავლებელს და ყველა დანარჩენს ცოტა არ იყოს გულიც კი დაწყდათ. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ძვირფასმა სტუმარმა მასწავლებელს და ადგილობრივ მოძღვარს ღვინის სმაში თითქმის აჯობა. „შრომის“ კორესპონდენტს „ხანს“ ორიოდვე ვაჭრის შიშით ენა მუცელში ჩაუვარდა. საქირთა სერიოზული ოპერაცია.

„აი“